



ორგანო საძ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსთვის
Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

რვაენი

ფრთვა

832
1957

“NOTRE DRAPEAU”

N° 24

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

- საქართველს დამფუძნებელი კრების დადგენილება.
- საქართველს დამოუკიდებლობის აქტი.
- ქართველ ერს.
- 26 მაისი.
- სამაიხეთ.
- იმჟა 26 მაისი.
- 26 მაისის პირველი წლისთავი.



პარიზი

მ ა ი ს ი

Paris.

1957

საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილება.

(12 მარტი 1919 წელი)

«საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არჩეული პირ-დაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორცი-ონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ. — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ, ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 საათ. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს»:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

«მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფლი სახელმწიფო.

«მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

«რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

«დარჩენენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იღვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და მესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებული კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

«ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაიჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

«ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს. განსაკუთრებით კი, მოსახლურ სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შეევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.»

ძ ა რ თ ვ ე ლ ე რ ს

სრულდება ათი წელი ქართველი ერის ტყვეობის, საქართველოს დაპყრობის და დამონების; წელნი მეტათ მწარე, მეტათ სისხლიანი, ტანჯვით და ცრემლით სავსენი.

ქართველ ერს უნახავს უცხო ურდოთა შემოსევა, განუცდია უცხო ძალთა რბევა და ძალმომრეობა.

მაგრამ მას არასოდეს არ უნახავს, არასოდეს არ განუცდია ის ტანჯვა-ვაება, ის სასტიკი უბედობა, რაიცა მას თავს დაატყდა ამ უკანასკნელ ათ წელიწადს.

წინეთ დამპყრობელთა ნიაღვარი გადაივლიდა, ქვეყანა ისევ გამოიღვიძებდა, მისი მზე ამოანათებდა და თავისუფლების ყვავილები გაიშლებოდა.

დღეს დამპყრობელთა ნიაღვარი დაგუბდა ჩვენს ქვეყანაში, ის ყოველ ცისმარა დღეს ანადგურებს ერის სიმდიდრეს, მის ნივთიერ და სულიერ საუნჯეს; ის ყოველ დღე, ყოველ საათში ცელავს საუკეთესო შვილებს, ერს კვეთს საუკეთესო თავებს, აძევებს სამშობლოდან ხალხის მესვეურებს.

მტერი დაბანაკდა ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზე და შეიარაღებული ეწევა მუდმივ, შეუჩერებელ ომს უიარაღო მცხოვრებთა წინააღმდეგ.

ათი წელია სწარმოებს ეს ბრძოლა საქართველოს მოსახლეობათ, ქართველობის დასამორჩილებლათ. ქართველი ერის მუხლზე დაცემულ საწყალთა ბრბოთ გადასაქცევათ.

მოსკოვის ტირანები ათი წელია ძლებიან ქართველი ერის

სისხლით და ვერ გაძლენ, იტაცებენ მის სარჩო-საბადებელს და ვერ გაათავეს, ავსებენ თავდადებულ მოღვაწეებით ციხეებს, სარდაფებს, ბნელ საკანებს, შორეულ გადაკარგულ კუთხეებს და ვერ გაავეს.

დიდია ქართველი ხალხის ეს მძიმე ტანჯვა, განუზომელია ეს ამოდენა მისი წვალება, მწარეა ეს ხანგრძლივი მისი დევნა.

მაგრამ დიდი აღმოჩნდა ქართველი ერის გამძლეობა, არ შეირყა მისი სულიერი სიმტკიცე და რაინდული მხნეობა. მას მოსტაცეს თავისუფლება, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს, მას წაართვეს თავისთავის ბატონობა, მაგრამ ვერ დაიმონეს.

ქართველი ერი ამ მეთაე წელსაც ისე მაგრათ დგას თავის უფლების, თავის სამშობლოს სადარაჯოზე, როგორათაც ის იდგა თავიდანვე, შემოსევის პირველ წელიწადს. დროთა ბრუნვამ ის ვერ მოსტეხა, გზა-კვალი ვერ აუბნია, მტერი მოყვარეთ და მოყვარე მტრათ ვერ მოაჩვენა. ის დგას თვალახილული, გონება ნათელი, მტერთან მტრულათ განწყობილი. დევნა მას აკაეებს, თავსდასხმა ავაეკაცებს.

განა ექვია ვინ გაიმარჯვებს! ისტორიის ჩარხს უკულმა ვინ დააბრუნებს? მოსკოველთა საქმე წაგებულია, ისინი ისტორიის მიერ განწირულია.

დროს რა მნიშვნელობა აქვს, იქნება ადრე თუ გვიან—ეს დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, მთავარია ის, რომ მტერის დამარცხება უეჭველია, მისი დასასრული გარდაუვალია. ქართველი ერი სწორეთ ასე შორს იხედებოდა და ამიტომ ქედი არ მოიხარა გამარჯვებულთა წინაშე. ის დარწმუნებულია მტრის დაცემაში, მის დარღვევაში, მისი ბოროტების აღმოფხვრაში და ეს რწმენა მას ამხნევეს, ასალკლდევეს ეს ათი წელიწადია.

გავიდა ათი წელი და რას ვხედავთ? ვხედავთ მტერს დასნეულებულს, უკურნებელი იარებით დაავადებულს, გახრწნილს, თავის შინაგან წინააღმდეგობათა ბადეში გახლართულს და სასიკვდილოთ გამზადებულს.

ვხედავთ მის მესაფლავეთ, დევნილ და წამებულ ხალხებს, გამხნეებულთ, იმედით აღსავსეთ, უკანასკნელი ბრძოლისათვის გამზადებულთ. ჩვენ მარტონი აღარა ვართ, ჩვენ გვემატება ახალი მოკავშირენი; ისინი კი, პირიქით, მარტოვდებიან, კარგავენ ძალას, შორდებიან მთელ ქვეყანას და უფსკრულისაკენ მიექანებიან.

მათი მზე ჩადის, ჩვენი მზე ამოდის. განთიადი მოახლოვებულია.

საქართველოს კანონიერი მთავრობა. უცხოეთში გადმოხვეწილი და აქ ერის დაკარგული უფლებებისათვის მებრძოლი, შორიდან უძღვნის სალამს მთელ ქართველობას და მას უთვლის: ჩვენ აქ ძველებურათ მაგრათ ვდგევართ ქვეყნის სადარაჯოზე, ჩვენი გული სცემს თქვენ გულთან ერთათ. თქვენი

სული გვაძლევს აღფრთოვანებას. მომავალ დიად გადატეხას შევხვდეთ მთლიანათ, საერთო ნებისყოფით, საერთო სული-სკვეთებით და სხვა ჩვენებრ დატანჯულ ხალხებთან ერთათ აღვმართოთ ჩვენი დროშა, დროშა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის, კავკასიის ხალხთა კონფედერატიული კავშირის დაარსების და სხვა საბჭოთა უღლისაგან განთავისუფლებულ ყველა ხალხებთან ძმური დამოკიდებულების და კეთილი მეზობლობის დამყარების.

საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე
ნ. ქვარცხელია.

პარიზი. თებერვალი, 1931.

26 მ ა ი ს ი

ეს მეცამეტეჯერ ვდღესასწაულობთ 26 მაის საზღვარგარეთ.

ეს მეცამეტე წელია ქართველი ერი ამ თავის აღდგომის დღეს ვერ დღესასწაულობს, მას შესაფერათ ვერ ეგებება და უფლება აყრილი, ტყვეთ ქმნილი, მას მხოლოდ თავის გულში ატარებს. ამ დღეს აქ და იქ, გადმოხვეწილი ქართველი და სამშობლოში მყოფნი ფიქრობენ ერთნაირათ, უცემთ გული ერთნაირათ, შედუღებულნი ერთი იდეალით. ეს იდეალი იყო, არის და იქნება ერის ტყვეობისაგან განთავისუფლება, წართმეული თავისუფლების დაბრუნება.

ამ დროშის გამარჯვების თავდებია ერთი პირობა—ქართველი ხალხის მტკიცე ნებისყოფა, მისი მორალური ძალა, დაუმრეტელი ვნერგია, თავის თავის ერთგულება და მტერ-მოყვარის გარჩევა. ყველა ეს თვისება ქართველობის სამკაულია, მას ის თან ახლავს მუდამ, ამით მოდის ის ისტორიის ეკლიან გზაზე და გამოცურა არა ერთი და ორი აბობოქრებული ტალღები. რამდენი ძველი ხალხი ჩაიხჩო ამ ტალღებში, რამდენი მისი თანამგზავრნი დაეცენ შუა გზაზე; ფეხზე, თავის მიწა-წყალზე, დარჩა ჩვენი პატარა ერი და ძველებურათ, იმედიანათ გაყურებს მომავალს.

ერი მორალური პიროვნებაა, მას აქვს თავისი ეთიკა, თავისი დისციპლინა, თავისი კალაპოტი, რომლისგან ამოვარდნა მას ღუპავს. ის იძულებულია ამოვარდნილ ისტორიულ გრიგალს პირდაპირ დახედეს, გული მიუშვიროს და შეებრძოლოს. მას არ შეუძლია დამალვა, გაქცევა, გადახვეწა. ამ ნიადაგზე მაგრათ მდგომი, ის აძლევს სავალ კალაპოტს, სამუშაო ხაზს მოწინავე მებრძოლთ, მედროშეთ და წინამძღვართ. მისი მეთაურია მხოლოდ ის ვინც ამ კალაპოტში რჩება, მისი დროშაა მხოლოდ ის. რომელიც მის ტანჯვაებას აღბეჭდავს. ხალხი თავის თავს ვერ გადაუხვევს, ეს

მისი ბუნებაა. კერძო პირი კი მოკლებულია ამ სტიქიას, მისი გზაკვალი განუსაზღვრელია, უსწორმასწოროა. მისი გადახვევა-გადმოხვევა, ბუდიდან ამოვარდნა, კერძო ინტერესის საზოგადოზე ძალა დაყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც უბედურობა თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას წარსულში და დღეს სწორეთ ამ მიზნით აიხსნება. მუდამ ხალხს მოსწყდებოდა მთელი წყება წყალწალღებული ადამიანებისა და მათ მოველინებოდა ბატონათ და მტანჯველათ უცხო ძალასან დაკავშირებით. ესენი მირბოდენ წინეთ ჯერ სპარსეთში, შემდეგ რუსეთში თავიანთი ეგოისტური ინტერესების გასამარჯვებლათ ქართველი ერის ხარჯზე. ასე მირბიან მოსკოვის კარზე დღესაც ამ დაბნელებული ერის ნაძირალები.

თა ასე სწუწნიან ხალხს მისი შინაური და გარეშე მტერი შეერთებული ძალებით. რით უძლებს ამ სვავეებს ერი? მხოლოდ ერთი თვისებით—მორალური ძლიერებით, ერთათ დგომით, საერთო შინაური ფორტით, მაგარი სულით და გაუტყეხელი ნებისყოფით. მტერი მას არ შეუყვარდება. მტერმა ეს კარგათ იცის და ცდილობს მას შემოაუაროს მისი მორალის გატეხით, მის მებრძოლთა შორის შუღლის გაჩაღებით, ფორტში ფორტის შექმნით და ხალხისათვის ამ გზით ზურგიდან მახვილის ჩაცემით. გაყავი და იბატონე, გზა ძველი, გაცვეთილი, მაგრამ მუდამ ახლათ ამუშავებული. ამ ხაფანგს მუდამ გასავალი აქვს დაბნეულთა და მერყევე ელემენტთა შორის.

პოლიტიკა ბრძოლაა; ამ ბრძოლას ესაუბრობება შესაფერი აპარატი, ურყევი ორგანიზაციები; დაცვა ამ აპარატების გარეშე მტრისაგან ადვილია თუ მას ზურგი მაგარი აქვს, თუ შინაური მტრისაგან დაცულია. გაყოფილ ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან. ვისაც ეს ასე არ ესმის—მებრძოლი არ არის, პოლიტიკაში შემთხვევით შემოხიზნულია. მარტა ღმერთთა, ღმერთთა ძახილით სამოთხეში ვერავინ შევა. 26 მაისს ესაუბრობება შესაფერი საქმე, გზა მისკენ მიმავალი. ის ითხოვს ბრძოლის მეთაურთა ისეთსავე მორალურ ძალას და ერთობას, როგორც არის თვით ხალხში. დაადევით ყური დედამიწას და გაიგონებთ საქართველოს მიწის გამოძახილს, გაიგონებთ ქართველი ერის სულისთქმას, მაჯისცემას და მიაგნებთ ნამდვილ გზას. საქართველოს აქვს პოლიტიკური ხერხემალი, ის მტერმა ვერ გასტენა და ვერც გასტენს. ამ ხერხემალის რგოლებია იქ, სამშობლოში, სოციალდემოკრატიული ორგანიზაციები და მასთან დაკავშირებული სხვა ანტისაბჭოთა პარტიები, აქ ნაციონალური მთავრობა და მის ირგვლივ დაწყობილი პარტიული ორგანოები. ამათი არსებობა დამოკიდებულია ქართველ ხალხზე, პასუხს აგებენ მის წინაშე და არავითარ გარეშე ძალას არ ძალუქს მათი გაუქმება და გზიდან გადაგდება.

ნაციონალურმა მთავრობამ მიიღო მანდატი დამფუძნე-

ბელ კრებისაგან, მას შეყურებს ტანჯული ერი და ის დარჩება თავის პოსტზე ბოლომდე, გამარჯვებამდე. 26 მაისი მისი დროშაა; ის მისი უმაღლესი გამომხატველი და დამცველია და მას ვერ დასწევს, ძირს ვერ დაუშვებს ვერავითარი საგარეო მომენტების წინაშე. საქართველოს ოფიციალური ლეგაცია იქნება თუ არა საფრანგეთში—ეს არ ვიცით, ვიცით მხოლოდ რომ ნაციონალური მთავრობა იქნება, მისი გამაუქმებელი ძალა უცხოეთში არ არის; მისი გაუქმება შეუძლია მხოლოდ მის შემქნელს, მის დედას—ქართველ ერს.

საქართველოს მის ორი ათასი წლის ისტორიის მანძილზე დღეს პირველათ ყავს თავისი საკუთარი პოლიტიკური წარმომადგენლობა ევროპაში, პირველათ ყავს აქ პოლიტიკური ემიგრაცია. ყველა წინანდელი ემიგრაცია არ გამოირგბია სპარსეთს, ოსმალეთს და რუსეთს... თუ წინეთ ის გადაბმული იყო დასავლეთთან კულტურულათ, ახლა ის გადაება პოლიტიკურათ, ადამიანების საშუალებით. ეს დიდი მისია, ეს დიდი როლი, რაიცა წილათ ზედა გადმოხვეწილ ქართველობას, უნდა იქნას შესრულებული ღირსეულათ, მოვალეობის შეგნებით და ერთგულებით. დაქსაქსულობა, დანაწილება, ერთიმეორის წინააღმდეგ დარაზმვა მიუტყვებელი დანაშაულობაა ერის და ისტორიის წინაშე. საქართველოს პირველ პოლიტიკურ ემიგრაციამ უნდა აჩვენოს მაგალითი და იყოს ღირსეული წარმომადგენელი მეტროპოლი ერის გაუტყეხლობის, სულის სიმავრის, ერთობის და მთლიანობის.

26 მაისი ჩვენი გამაერთიანებელია, ჩვენი მთლიანობის სიმბოლოა, ჩვენი საერთო დროშაა. დღეს საქართველოს სინამდვილეში არ არსებობს შინაგანი განხეთქილების არც ერთი მომენტი, არც პოლიტიკური, არც სოციალური, არც კულტურული და საზოგადოებრივი. ჩვენ ყველა ვიბრძვით არსებობის ძირეულ, უდაო და მიუცილებელ საფუძვლისათვის. ჩვენ გვინდა ვიყოთ ჩვენი თავის ბატონი და პატრონი, როგორც ერი, როგორც ხალხი, როგორც პიროვნება. ყველა ეს უფლება წართმეული გვაქვს და ეს საერთო უბედურება აერთებს ყველას, განურჩევლათ რწმენისა, პროგრამული სხვადასხვაობისა და სოციალური მდგომარეობისა.

ჩვენ და ისინი, საქართველო და მისი მტარვალეები, შუაში უფსკრულია, ზიდეები წადებული. 26 მაისი, ჩვენი ხარტია, მათი სახრჩობელია...

«ბრძოლის ხმა» № 33.

1933 წ.

დღესასწაული შრომისა, ყოველგვარ მონობის დამთრგუნველი, მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის შემუსვრის მომასწავებელი—ასეთია I მაისი.

დღესასწაული მთელი ქართველი ერისა. მისი დამოუკიდებლობის აღდგენის მეცხრე წლისთავი—ასეთია 26 მაისი.

პირველი მსოფლიოს მშრომელთა საერთო დღესასწაულია. დამხობა მილიტარიზმის, დამყარება მშვიდობიანობისა და ერთა შორის სათნოებისა—აი რას მოითხოვს ამ დღეს მშრომელი ხალხი.

და აი სწორედ ეს მოთხოვნილება ყველაზე უფრო გადაჭრით უარყოფილია არსებულ ხელისუფლების მიერ საბჭოთა კავშირში. მშვიდობიანობის ნაცვლათ აქ მდინეარებს მუდმივი ომი! თავისუფლება მოსპობილია, ჩეკა აშვევლია. ხალხის საუკეთესო შვილთა გაქლეტა ყოველდღიურ მოვლენათ არის გადაქცეული. ერთა თვითგამორკვევის ნაცვლათ გაბატონებულია უხეში ძალით გათვითცნობიერებულ ერების დამორჩილება და მათი ბორკილებში ჩაქედა.

I მაისი შრომის თვითმოქმედების სიმბოლოა. მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა, ხოლო საბჭოთა საქართველოში შემოჭრილმა რუსეთის «წითელმა» ლაშქარმა მუშათა თვითმოქმედება თავის უმთავრეს მტრათ გამოაცხადა და I მაისი მხედართა თარეშათ და ოკუპანტთა აღლუმათ გადააქცია.

26 მაისი დაკარგულ თავისუფლების მოგონებაა. მის აღსადგენათ ბრძოლის ველზე გამოწვევაა.

დღეს ვინ არ იცის, რომ 25 თებერვალი—დღე საქართველოს ოკუპაციის დაწესებისა, წარმავალია, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მკვდრეთით აღდგენა სწრაფი ნაბიჯით გვიანლოვდება!

ასე ორი დღესასწაული ერთი მეორეზე გადაბმულია და ერთი მეორეს აგრძელებს.

განახორციელებ I მაისის მთავარი ღონისძიება. შემუსრეთ მილიტარიზმი და საქართველოც ფეხზე დადგება და სამუდამოთ წელში გაიმართება. ეს იქნება მთელი ერის მშვიდობიან განვითარების უზრუნველყოფა და ყოველგვარ საგარეო საფრთხის დათრგუნვა.

მოსპეთ უცხო ლაშქრის თარეში საქართველოში, დაუბრუნეთ მას 26 მაისის დიადი აქტი, აღადგინეთ ერის მიერ თავისუფლათ შექმნილი კონსტიტუცია და საქართველოს მშრომელნიც სამუდამოთ გაიხარებენ: მით გაეხსნებათ საუკეთესო გზა, რათა თავის მარჯვენის ნაყოფს თვითთვე დაეპატრონონ და ყოველგვარი ჩაგვრა-მონობა ძირწივე მოსპონ.

59206

დღეს მთელი ქართველი ერი ძაბვებში გახვეულია. ის დასტირის არა მხოლოდ მტრის მიერ გაქვლეტილ საუკეთესო შვილთა ხსოვნას, პირველ ყოვლისა ცრემლებს აფრქვევს 26 მაისის აქტს. მტრის შემოსევამ ერს წაართვა საუკეთესო საუნჯე და სამოთხიდან ჯოჯოხეთში გადაისროლა.

მაგრამ მტრის უხეში ძალა უკვე შეირყა. მისი ვერაგული ბუნება მთელ კაცობრიობის წინაშე გამოაშკარავდა. მას ნიღაბი უკვე ჩამოხსნეს. ამჟამად საბჭოთა კავშირი სრულიად გარიყულია როგორც დიპლომატიურათ და ეკონომიურათ, ისე მორალურათ და კულტურულათ. ამიტომაც არის მტერი სამარეში სწრაფი ნაბიჯით მიექანება, ხოლო საქართველოს დიადი და შეუჩერებელი ბრძოლა თავისუფლების აღსადგენათ თანდათან მეტ მომხრეებსა და თანაგრძობბას პოულობს. 26 მაისის აქტი საქართველოს მზის სხივებში უკვე გამოსჩანს.

უკვე ახლა ის ბედნიერი დღე, როცა ქართველი ერის თავის ბედს კვლავ თვითვე დაეპატრონება და მისი უკვდავი ეროვნული დროშა მალა აფრიალდება. ეს იქნება ამავე დროს 1 მაისის ლოზუნგის განხორციელება და მშრომელთა სამეფოსაკენ პირდაპირი გზის გაკაფვა.

«ბრძოლა» № 23—24. 1927 წ.

„ი შ ვ ა 2 6 მ ა ი ს ი“

..... რაკი რუსეთმა უარი სთქვა ჩვენს დაცვაზე, პირიქით, იქით გააჩუქა ჩვენი ტერიტორია, ცხადი იყო მან უარი სთქვა ჩვენ ქვეყანაზე, თვითონ გავიდა და ჩვენ დაგეტოვა მარტომარტო. ჩვენ არ შეგვშინებია, არ დავფრთხალვართ, შეუდექით ჩვენი ძველი პროგრამის—ამიერ-კავკასიის თვითმართველობის მოწყობას პარლამენტით თბილისში. ეს აზრი ჯერ გავატარეთ ყველა ჩვენ რევოლიუციურ ორგანოებში—დაწყებული მუშათა საბჭოდან და შემდეგ განვხორციელეთ იშვა სეიმი. მაგრამ ამავე დროს არ სძინავდა არც ბოლშევიკებს. ლენინმა თავის ნამესტნიკათ დანიშნა შაუმიანი. ეს ვაჟბატონი ჩქარა ისე დაფრთხა, რომ მიიმალა. მათმა საიდუმლო ორგანიზაციამ მოაწყო მიტინგი ალექსანდროვის ბაღში იმ მიზნით, რომ იქიდან წასულიყვენ სეიმის გასარეკათ და შაუმიანის ხელისუფლების გამოსაცხადებლათ. აღმასრულებელ კომიტეტის ბიურომ საჩქაროთ გაგზავნა თავისი განსაკუთრებითი რაზმი ვლასა იმნაძის წინამძღოლობით მიტინგის გასარეკათ და ურჩების დასაჭერათ. შედეგი ცნობილია. რაზმმა იარაღით გარეკა კრება.

..... ვინაიდან ბოლშევიკების მუშაობამ მიიღო აშკარა ჩვენი ქვეყნის სამტრო ხასიათი, ისინი იღვენებოდენ როგორც მოსკოვ-ოსმალეთის აგენტები და მათი ხელის შემწყობნი. ამ უკაცრავათ პასუხია «რევოლიუციონერებს» დამცველი

ალარ აღმოაჩნდათ. ერთი მხრით ოსმალები მოიწვედნენ ჩვენი საზღვრებისაკენ და ჩვენ ვაწყობდით თავდაცვის საშუალებებს. მეორე მხრით იმავე დროს ბოლშევიკები შიგნით გვიჯანყებდნენ ხალხს და იძულებულს გვხდოდნენ ფრონტზე გასაგზავნი ჯარის ნაწილები მათ წინააღმდეგ გაგვეგზავნა და აჯანყებულნი გვემშვიდებია. ისინი გახდნენ ერის აშკარა მოლატენი და მით დაიმსახურეს კანონის გარეშე გამოცხადება. ცხინვალი გახდა პირველი მათი შემოტევის საგანი, გაბოლშევიკებულ, გარუსებულ ოსების საშუალებით. ვიცოდით რომ ფ. მახარაძემ მოიკალათა ოსთა შორის და ეწევა პროპაგანდას «საქართველოს გაბატონების წინააღმდეგ ოსებზე!» მოითხოვდა ამათ შეერთებას ჩრდილო ოსეთისათვის და სხ. ამავე დროს სამეგრელოს და სოხუმის ოლქის ზოგ სოფლებში ააფრიალეს ბოლშევიკური დროშა, აგრეთვე უფრო სერიოზულათ ლეჩხუმის მაზრაში. ყველა ეს იმ დროს, როცა ოსმალეთი მოდიოდა ბათუმის დასაკავებლათ და ჩვენ ვაწყობდით წინააღმდეგობის გაწევას.

ამნაირათ, მოხდა დაკავშირება თურქ-ქართველ ბოლშევიკებისა ჩვენი ტერიტორიის წასაგლეჯათ, ჩვენი ხელისუფლების დასამხობათ. მე გავემგზავრე ბათუმში თოფით ხელში, თუმცა არასოდეს თოფი არ მჭერია და არ მისვრია. საჭირო იყო მაგალითის მიცემა. რიონში, სამტრედიიაში ბევრნი იყვენ შეიარაღებული მოხალისენი. მიტინგები და კრებები სადგურზე. ბოლშევიკების ლაპარაკს გასავალი არ ქონდა. ბათუმს ვერ შევიჩინეთ—საერთო აზრი იყო. ყველას აინტერესებდა სწორეთ ბათუმში და ამიტომ ეწერებოდნენ ჯარში. ბათუმში ჩავედი, მტერი თოფის სროლის მანძილზე მოსულიყო. წავედი ფრონტის დასათვალისწინებლათ და სწორეთ მოვხვდი ქართველ-თურქების შეტევის შუაში, შარა გზაზე. ტყვია აქედან იქედან ყურებთან მივილიდა. დაებრუნდი უკან, ბათუმისაკენ. ცნობა მივიღე თბილისიდან, რომ გვარდია ცხინვალის რაიონის განიარაღების შემდეგ თბილისში ბრუნდებაო. მე კი მინდოდა ბათუმში ჩამოსულიყო და მოხალისეთა ჯარს სათავეში ჩასდგომოდა. გავსწიე საგანგებო მატარებლით, მიუსწარი გამობრუნებულ გვარდიას გორში, გავმართეთ თათბირი, გადაწყვიტეთ სამი დღის დასვენების შემდეგ ბათუმისაკენ გამგზავრება. ეს ალარ შესრულდა, ვინაიდან ბათუმში უკვე დაკავებული იქნა ოსმალების მიერ. გვარდია მაინც გამგზავრა სამეგრელო-გურიისაკენ.

ტრაპიზონში გაგზავნილ დელეგაციამ აკ. ჩხენკელის მეთაურობით ვერავითარ შედეგს ვერ მიიღწია. ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულების ასრულება იყო ის მინიმუმი, რასაც თურქნი ითხოვდნენ. დანარჩენზე შემდეგ მოვილაპარაკეთო, ხოლო ამის წინასწარი პირობაა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებაო. დაისვა ეს საკითხი სემში. საჭირო იყო კარგად გაგება ოსმალეთის ამ წინადადების სარჩულ-

ლის, იყო ის ჩვენ სამოყვროთ თუ სამტროთ. მე ვიფიქრე, რომ აქ რალაც დამალული ხერხი ისახება და თუ გულგრილათ შევხედავდით მას—გამოცნობა ადვილი იყო. ოსმალეთი აწვევბოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას, რომელ ის ძალით მას კავკასიაში დაეთმო მხოლოდ სამი პროვინცია; სანამ ჩვენ ვირიცხებით რუსეთის ფარგლებში, მანამდე მას არ აქვს უფლება კიდევ რაიმე მოითხოვოს ჩვენგან. ოსმალს კი ეს არ აკმაყოფილებდა და ფიქრობდა თავის საბრძანებელს გაფართოვებას ამიერ-კავკასიის ხარჯზე. ეს მას შეეძლო იმ შემთხვევაში, თუ ამიერ-კავკასია გამოვიდოდა რუსეთის ფარგლიდან. იქნებოდა დამოუკიდებელი და, მაშასადამე, მსხვერპლათ ადვილათ გასახდომი. აი ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით სეიმში, როცა ამ საგანზე სიტყვა წარმოვსთქვი (დაბეჭდილია). მე ვამბობდი, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა ჩინებულა, მაგრამ მისი ცნობა და ცნობა მისი საზღვრების წინასწარი პირობა უნდა იყოს ჩვენსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკების დროს. მე, რასაკვირველია, პირდაპირ ხელი არ დავადევი ოსმალს, ფრჩხილები არ გავხსენი დიპლომატიური მოსაზრებით, მაგრამ წამოყენებული პირობა ნათლად ხდიდა შინაარსს. სამწუხაროთ, ჩემი სიფრთხილე არ გაიზიარა არც ჩემმა ფრაქციამ, არც სეიმმა. კენჭის ყრის დროს მე თავი შევიკავე. შედეგს არ დაუყოვნებია, ოსმალს შემოიქრა და დაიჭირა ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, მთელი აზერბაიჯანი და სომხეთის სამი მეოთხედი; გერმანელების დახმარებით ჩვენ შევაჩერეთ ისინი ჩვენს საზღვარზე, თბილისთან ახლოს. მათ ხელში იყო ბაქო, ბათუმი და სურდათ ამისთვის მიემატებიათ თბილისიც.

ერთი სიტყვით, თავისუფალი ამიერ-კავკასია იურიდიულათ, გახდა ფაქტიურათ ოსმალეთის პროვინცია. ამის შემდეგ გვითვლის ის—ახლა ვილაპარაკოთ! მოსკოვმა ხელი დაიბანა. ასეთ პირობებში გამართული მოლაპარაკება ბათუმში რა იქნებოდა თუ არა ჩვენი კაპიტულაცია. მაგრამ რაც მოხდა იქ—მანც არ მოველოდით.

ბათუმიდან მივიღე დეპეშა, ჩამოდიო. ჩავედი, დამხვდა შემადრწუნებელი სურათი: ერთი მხრით სეიმის დელეგაცია, მეორე მხრით მუსულმანების კერძო დელეგატები, არ დაგეტოვოთ, ჩვენ თქვენი ვართ, ევედრებოდენ სტამბოლს. სომხებს არაფერს ყურს არ უგდებდა, ხოლო ქართველები მჭერმეტყველობით ამიერ-კავკასიის დამცველნი. ამ ნაირათ აზერბაიჯანმა ვაარღვია რა ჩვენი ტერიტორიალური მთლიანობა და გადაბარგდა მტრის ბანაკში,—დაინგრა სეიმის დელეგაცია, რასაც უნდა მიყოლოდა თვით სეიმიც. ქართველ დელეგატებში გამართა თათბირი. მივედით იმ დასკვნამდე, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთად-ერთი გამოსავალია: სეიმის დაშლა და სამი ერის მიერ თავ-თავის დამოუკიდებლობის გამოცხადება. აზერბაიჯანი ახლა ოსმალეთისაკენ მიათრევა და მთელ

მხარეს, როცა მას მოვშორდებოდით, მხოლოდ თავის თავს გაათრევდა. სომხები ვერ მიხვდნენ მდგომარეობას, უსიამოვნო ლაპარაკი მომივიდა ალ. ხატისოვთან. მან დამიჩემა—თუ ვიღუპებით—სჯობს ერთად დავიღუპოთო! ეს იყო სასოწარკვეთილობის ამოძახილი. ჩვენი აზრი მოიწონეს გერმანელებმაც და აღგვიტყვეს დახმარება. ამ გადაწყვეტილებით წავიდნენ ბერლინში თავის მთავრობისათვის მოსახსენებლათ.

მაშასადამე, დღის წეს-რიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. დავბრუნდი თბილისში.

რაკი გადამწყვეტ როლს ყველა დიდ პოლიტიკურ მდგომარეობაში ასრულებდა თბილისის სოც.-დემ. ორგანიზაცია, პირველ-ყოვლისა მოვიწვიეთ მისი კრება ქალაქის საბჭოში. დაესწრნენ ყველა რაიონების წარმომადგენელნი, კომიტეტი სრული შემადგენლობით. ცენ. კომიტეტი, პრაპაგანდისტთა კოლეგიის წევრები—ერთი სიტყვით მთელი მეთაურობა, სადაც შედიოდნენ ყველა ეროვნებები ქართველების გვერდით: რუსები, სომხები, ოსები, მუსულმანები—ყველა. ეს იყო მარ. თლა ინტერნაციონალური. გავაკეთე მოხსენება (დაბეჭდილია). გაიმართა დებატები, აღშფოთებულნი იყვნენ «მუსავატი» ს მოქმედებით, აზერბაიჯანის განდგომით და ბოლოს ერთხმად იქნა მიღებული წარდგენილი რეზოლუცია. ეს მომქმედი, თავდადებული ხალხი იმავე ღამეს შეესივნენ მუშათა რაიონებს. გააცნეს რა ხდებოდა ბათუმში და ოცდაათხ საათში მთელი მუშათა კლასი გადაიყვანეს საქართველოს ნაციონალურ რეუსებზე.

დაუვიწყარია ეს კრიტიკული მომენტი. ჩვენმა პარტიამ კიდევ ერთხელ დაიჭირა ძნელი ეგზემენი. ლანჩხუთის სოც.-დემ. კონფერენციის გადაწყვეტილება განხორციელდა სრულიად მონოლოდნელ, ტრადიციულ პირობებში, როგორც საშუალება თავის გადარჩენისა...

რაკი ეს მთავარი ფუძე ჩაიყარა, შემდეგ მისი გატარება ადვილი იყო. სეიმის ჩვენმა ფრაქციამ ერთხმად მიიღო; მოვიწვიე სომხები ცალკე და გავაცანი მდგომარეობა. აგარონიანმა თბილი სიტყვით მომმართა—რაკი ქართველებს ეს გადაარჩენს რა დაკვრჩენია რომ არ დავადასტუროთ და მოგილოცოთ; ჩვენ უბედურებაში არ გვინდა სხვებიც ჩავითრიოთო და სხვ.

გვევე საკითხი დაისვა ნაციონალურ საბჭოში, რომელსაც უნდა მოემზადებია მისი განხორციელება შემდეგ სეიმის დაწლისა. საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება საბჭოში. გამოვეყვით კომისია ჩემთან ერთად საქმეათ ამ საკითხში. მე შევასწორე კომისიის პროექტი. ამ ხაიოათ შემუშავდა დეკლარაცია, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიტკა ჩვენი თავისუფლების ძირითად ხარტიათ. იშვა 26 მაისი.

იშვა ერთი მთლიანი ქართველი ერი.....

(ნ. ქვრიდანიახ მკვლევება «ჩემი წაწხელი»).

26 მაისის პირველი წლის თავი.

საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წ. 26 მაისს. ამ დიდებულ დღეს ერი და ქვეყანა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა, თუმცა სახეიმო დღე წინააღმდეგ არ იყო მომზადებული. ეს მოხდა მხოლოდ შემდეგ წელს.

ისტორიაში არაა ხშირი ასეთი დღე. მით უფრო იშვიათი იყო ჩვენი ერის ცხოვრებაში. ამას ჰგონებდა ყველა — დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა, ქალი და კაცი. ამიტომ იყო ამ დღესასწაულმა მართლაც რომ უმაღლესად ეროვნული სახეიმო ხასიათი მიიღო. დღესასწაულის მოწყობა იკისრა (ვსარგებლობ იმ დროის ვახუთებით) დამფუძნებელ კრების სახელოვნო კომისიამ და, უნდა ითქვას, რომ ბრწყინვალეთაღ მოაწყო იგი. ამ დღეს თბილისი მართლაც არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. მთელი ქალაქი ეროვნულ აღამებში და ვარდ-ყვავილებში მოკაზმული შეხვდა დილის მზის ცქრიალა სხივებს. დილა-ადრიან მთელი ქალაქი ქუჩებში გამოეფინა. თავისუფლების მოედანი 10 საათზე უკვე ხალხით იყო გაჟედილი. აქ თავი მოიყარეს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის წარმომადგენლებმა: მთა და ბარი, იმერი და ამერი, აჭარა და შავშეთი, კახეთი და ჯავახეთი, სვანეთი და აბხაზეთი — ყველა თავიანთ კუთხურ ტანისამოსში გამოწყობილნი. გარეთ კახეთის გლეხობა, როგორც დღეობაზე, ჩარდახიანი ურმებით და სამღვდლოებით ჩამოსულიყვნენ. ირგვლივ ჩამწყრივებულყვნენ მრავალი მოსწავლე ახალგაზდობა. ერთი სიტყვით ყველა და ყველა კუთხიდან.

დამფუძნებელ კრების ქუჩის სათავეში ამართული იყო ხის დიდი კამარა, კამარა ქართულ სტილზე სახელმწიფო ღერებებით და აღამებით მორთულ-მოკაზმული. კამარასთან თავმოყრილნი იყვნენ პეროლდები, შეერთებული ორკესტრი შემდგარი 500 კაცისაგან, გუნდი გურული, გუნდი 26 მაისის, გუნდი ცხენოსან რაზმისა, გუნდი კავსადის და სხ. იქვე გაჩერებული იყო სამი მშვენიერი ავტომობილი. ერთს ეწერა დიდი ასოებით «რევოლიუცია», მეორეს — «საქართველოს დამოუკიდებლობა», მესამეს — «გაზაფხული». ავტომობილი «რევოლიუცია» შედებილი იყო სულ წითლად და ზედ აღისფერ სავარძელში ნებივრად იჯდა წითელ ტოგაში გამოწყობილი მშვენიერი ასული ვინმე. მეორე ავტომობილზე — «საქართველოს დამოუკიდებლობა» — გადაშლილი იყო საქართველოს შვიდი ნაწილის ემბლემა. ზედ, ხელში ფართითა და შუბით, გარშემორტყმული შვიდ მნათობ ბანოვანით — იდგა საუცხოვო ქალწული ვინმე. მესამეზე — «გაზაფხული» — სულ ყვავილებით მოკაზმულზე, შესანიშნავის ხელოვნებით გაშენებული იყო ყვავილთა და ხეხილთა ბაღ-ხეივანები. ზედ იჯდა სამი ტურფა ასული. ერთი ართავდა, მეორე ქსოვდა, მესამე მაკრატლით ბოლოს უჭრიდა — ემბლემა ძველი დროისა და ჩვეულებისა.

ვიდრე ჯარების ალღუმი დაიწყებოდა, სამხედრო ტაძრის გალავანში ქათალიკოს ლეონიდემ პარაკლისი გადაიხადა და ჯარებს შესაფერი სიტყვით მიმართა. ამ დროს მინისტრებისა, მათი ამხანაგებისა და ქალაქის მოურავის თანხლებით, გალავანში შემოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას. ამავე დროს მოვიდნენ საქართველოში მყოფნი ყველა მისიების წარმომადგენელნი, დამფუძნებელი კრების წევრნი და მხედრობათა უფროსნი. მთავრობის თავმჯდომარე მიესალმა ლაშქარს და ჯარების ნაწილებმა ორკესტრით ცერემონიალით იწყეს დენა მის წინაშე. რუსთაველის გამზირის სათავეში ამ დროს პაეროპლანებიდგან ბლომად უშვებდნენ ფერად შუშხუნებს. დელეგაციების მილოცვის შემდეგ ნ. ჟორდანიას, რომელსაც ყოველი მხრიდგან «ვაშა»-ს და «გაუმარჯოს» ძახილით ესალმებოდნენ, საგანგებოთ ყვავილ-გრებილებით მორთული ეტლით დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან ერთად სტადიონისაკენ გაემართა.

სტადიონი შეჭრილია ხეობაში, რომელსაც ამშვენებს ამწვანებული მთის კალთა. ამ კალთის თავზე გაკეთებული იყო კარვები საპატია სტუმრებისათვის. სტადიონს თითქმის ვერსანახევარი ეჭირა. თვით სავარჯიშო მოედანი დაცემულ ადგილას მდებარეობდა, ასე რომ მთის კალთებზე შეფენილი ხალხი, როგორც ხელის გულზე ისე ხედავდა რაც ხდებოდა მოედანზე. მოედნიდგან მაყურებელს წარმტაცი სანახაობა ეშლებოდა. მწვანე მთის კალთები ხალხით იყო დაფარული, კარვების მხოლოდ სახურავები მოსჩანდა. სტადიონზე დღესასწაული გახსნა კომპოზიტორმა ფოცხვერაშვილმა ეროვნული ჰიმნით, რომელიც სამჯერ იქნა განმეორებული. შემდეგ იმღერა 26 მაისის გუნდმა, მას მოჰყვა კავსაძის გუნდი. შემდეგ გაიმართა ფერხული, ლეკური და ბოლოს ძველი ხალხური ცეკვა დიღმელი გლეხების მიერ, რომლებიც გამოიწყობილნი იყვნენ ბერიკების ორიგინალურ ტანსაცმელში.

ნაშუადღევის 2 საათზე სტადიონის მოედანი დაიკავა შევარდენის ჯგუფმა. რომელიც 400 წევრისაგან შესდგებოდა. პირველ წყებაში გამოვიდნენ ბავშვები. მათმა ვარჯიშობამ დამსწრენი ალტაცებაში მოიყვანა. წითელ ტანისამოსში გამოწყობილნი. პატარა შევარდნები. ყაყაჩოს ყვავილებივით, ამწვანებულ მინდვრის კალთებს მოედვენ. ბავშვების შემდეგ დაიწყო მოზრდილ ქალ-ვაჟთა ვარჯიშობა, რაც დამსწრეთა შორის მქუხარე ტაშს იწვევდა. შევარდენის სანახაობა მართლაც რომ დიდებულ სურათს წარმოადგენდა. ის ევროპის უპირველეს სტადიონებსაც კი დაამშვენებდა. ამას მოჰყვა ხევსურთა ფარეკაობა. ხევსურთა ახალგაზრდანი, ფარ-აბჯარში ჩახსმულნი ხმალდახმალ ერთმანეთს ეკვეთნენ. თანახმად წესისა—ხელები ფარს ქვეშაა ამოფარებული. განთავისუფლება ხელებისა და მკლავის თავისუფლად მოქნევა ვაჟაცის სი-

რცხვილად ჩათვლები. არც ის ეპატიება მოქიშვე მძიმედ დასჭრას. ფარიკაობის მონაწილენი ერთხანს ზუსტად ასრულებდენ ადათ-წესებს. მაგრამ, აი ერთი მათგანი ძალზე გაცხარდა, გადელდა და მოქიშვე ხელში დასჭრა. ისინი მაშინვე გააშველეს. ფარიკაობას მოჰყვა ფეხბურთი ინგლისელებთან. სტადიონის მიდამოებში გამართული იყო მთელი რიგი ფანჯატურებისა. ერთ მათგანში მთავრობამ საპატო სტუმრებს საუხმე გაუმართა. კერძო ფანჯატურებში, ხეების ძირში და საგანგებოდ მიტანილ ნოხებზე ხალხი გულ-ღიათ შეექცეოდა «წითელ ნუნუსს» და საქართველოს სადღევრძელოს ისეთ კახურ მრავალ-ქამიერს მიაყოლებდა, რომ მგონი ზეცასაც ესმოდა. მიუხედავად იმისა რომ პროცესიას რამდენიმე ასი-ათასი სული დაეაწრო, სამაგალითო წეს-რიგი სუფევდა და ის ერთხელაც არ დარღვეულა.

5 საათზე სტადიონიდან ხალხმა ქალაქისაკენ იწყო დენა. საღამოს ქალაქი საუცხოვოდ გაჩირადდნებული იყო. ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი შენობები სამფეროვანად მორთულ-განათებული იყო. ყველგან გამოკიდული იყო მთავრობის თავმჯდომარის დიდი სურათი ყვავილებით შემოსილი; თითქმის ყველა კერძო სახლზე ელექტრონის შუშასთან ერთად, ბრწყვილა დიდი ასოებით, ამოჭრილი იყო—26 მაისი». ფერითულ სანახაობას წარმოადგენდა კოცონი ანთებული თოფხანის, ბოტანიკურ და მამადავითის გორებზე. მამადავითის კოცონი ისე კარგად იყო მოწყობილი, რომ მის სინათლეზე ნათლად მოსჩანდა მამადავითის ტაძარი და მთელი გორა. ამავე მთებიდან შუალამემდის მრავალ ფეროვან შუშხუნებს და მაშხალებს ისრაოდენ. საღამოს ყველა კლუბებში, თეატრებში და სინემებში უფასო სადღესასწაულო წარმოდგენები გაიმართა. ქართულ კლუბში გაიმართა დიდი სახეიმო ვახშამი ჩამოსულ დელეგაციებისათვის. ლხინი და მხიარულება დილამდის არ შეწყვეტილა. ამ დღეს შეეკვალა სახელი ერეენის მოედანს, დაერქვა—თავისუფლების მოედანი, სასახლის ქუჩას—დამფუძნებელი კრების ქუჩა.

ქართველ ხალხს არას დროს დაავიწყდება ის სანეტარო განცდანი, რომელიც მან ამ დღეს იგემა. და თუ დღეს იგი ასე უღვთოდ ჯვარცმულია მტრის მიერ—ეუვი არაა ამ დღის განცდანი და მოლონებანი მას დიდად ამხნევებს, ანუგეშებს, იმედს არ უკარგავს და წამდაუწყებ აგონებს დიდი პოეტის სიტყვებს: «ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია,

აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია»...

«ბრძოლის ხმა» № 12. 1939 წ.

გარდაიცვალა და დაახადლავს ლევილის «ძმათა სახადლოზზე» ვ. ჯაველიძე და გენ. აღ. ზაქარიადე. ნეკროლოგი დაიბეჭდება შემდეგ ნომერში. გადაიდო ავრეთვე განეთის ტონდის ანგარიში.